# ინტელექტუალური და განვითარების დარღვევების მქონე პირების მშობლები: ცხოვრების ხარისხი, აღქმული სტრესი, დაძლევის სტრატეგიები

**ჟანა რობაქიძე**

---

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასისტენტ-პროფესორი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2019**

*განაცხადი*

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესები შესაბამისად.*

*ჟანა რობაქიძე, 2019 წელი.*

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ინტელექტუალური და განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების მშობლებს: ცხოვრების ხარისხს, აღქმული სტრესსა და დაძლევის სტრატეგიებს. დღეს-დღეობით ჩვენს ქვეყანაში არასაკმარისადაა ნაკვლევი ინტელექტუალური და განვითრების დარღვევების მქონე პირების მშობლების ფსიქოლოგიური და სოციალური გარემო. შესაბამისად საინტერესოა რა გამოწვევებისა და სირთულეების გადალახვა უწევთ მათ ყოველდღიურად შვილებზე ზრუნვისთვის გაწეული ძალისხმევის გამო, რა დრო რჩებათ სოციალური ურთიერთობებისთვის და როგორია მათი ცხოვრების ხარისხი. კვლევის მიზანს წარმოადგენს ინტელექტუალური და განვითარების დარღვევების მქონე პირების მშობლების ცხოვრების ხარისხის, სტრესის დონისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა და მათი შედარება ტიპური განვითარების ბავშვების მშობლების ცხოვრების ხარისხს, სტრესის დონესა და დაძლევის სტრატეგიებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 40-მა ინტელექტუალური და განვითარების დარღვევების მქონე პირის მშობელმა და 40-მა ტიპური განვითარების მქონე ბავშვის მშობელმა. ცხოვრების ხარისხის საკვლევად გამოყენებულ იქნა „ოჯახის ცხოვრების ხარისხის სკალა“ (FQOL), აღქმული სტრესის საკვლევად „აღქმული სტრესის სკალა“ (PSS), ხოლო დაძლევის სტრატეგიების საკვლევად ლაზარუსისა და ფოლკმანის „სტრესის დაძლევის სტრატეგიების სკალა.“ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ IDD-ს მქონე პირების მშობლებში არსებობს კავშირი აღქმულ სტრესსა და დაძლევის ნეგატიურ სტრატეგიებს შორის, ასევე დადგინდა, რომ IDD-ის მქონე პირების მშობლების ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ვიდრე ტიპური განვითარების ბავშვების მშობლების ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი და IDD-ის მქონე პირების მშობლების აღქმული სტრესის მაჩვენებელი მნიშნველოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ტიპური განვითარების ბავშვების მშობლების მაჩვენებელი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ინტელექტუალური და განვითარების დარღვევები, მშობლები, ცხოვრების ხარისხი, აღქმული სტრესი, დაძლევის სტრატეგიები.

## abstract

Research paper is about parents of children with intellectual and developmental disabilities: quality of life, perceived stress and coping strategies. In Georgia, there's not enough researches about parents who have children with intellectual and developmental disabilities. For this reason, it's interesting what challenges and difficulties do they face in everyday life, when they put so much effort and take care of their children. Do they have time for social interactions? The aim for the research is to examine the quality of life, perceived stress and coping strategies of parents of children with intellectual and developmental disabilities and compare it to the quality of life, perceived stress and coping strategies of parents who have children with typical development. 40 parents of children with IDD and 40 parents of children with typical development completed questionnaires. "Family quality of life questionnaire" had been used To examine quality of life, for perceived stress "perceived stress scale" and for coping strategies "stress coping scale" by Lazarus and Folkman. There is connection between perceived stress and negative coping in parents of children with IDD. Also quality of life is worse in parents of children with IDD, than in parents with typical development children and their perceived stress level is significantly higher than perceived stress of parents of typical development children.



**Key words:** intellectual and developmental disabilities, parents, quality of life, perceived stress, coping strategies.